პოლიტიკის დოკუმენტი

აგვისტო, 2017

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

დაუშვებელი პროდუქციის რეგულირება საქართველოში - საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

შინაარსი

შესავალი

1. დაუშვებელი პროდუქციის ცნება და სხვადასხვა პირთა ვალდებულებები, აღკვეთონ დაუშვებელი პროდუქციის გავრცელება
2. 1. პორნოგრაფიული პროდუქცია
2. 2 სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი პროდუქცია
2.3. ცილისმწამებლური პროდუქცია
2.4. შეურაცხმყოფელი და უზუსტო პროდუქცია
2.5. უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი პროდუქცია
2.6. პირადი ცხოვრების შემლახველი პროდუქცია
2.7. საავტორო უფლებების დამრღვევი პროდუქცია
3. საკანონმდებლო წინადადება

ავტორი:
გიორგი ბერაია

რეცენზენტი:
დავით კლდიაშვილი

შესავალი

თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში ინტერნეტის როლის უპრეცედენტოდ გაზრდის პარალელურად, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება იმ წესების განსაზღვრის საკითხი, რომლებიც უნდა გავრცელდეს ინტერნეტ ურთიერთობებზე. მისი მიზანია, ერთი მხრივ, არ შეაფერხოს ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის შესაძლებლობა, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოს იმ ინტერესების დაცვა, რომლებსაც რიგ შემთხვევაში შეიძლება უპირისპირდებოდეს გამოხატვის თავისუფლება, მათ შორის, ინტერნეტშიც.

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში აღიარებულია პრინციპი, რომლის თანახმად, ქმედებები, რომელიც დაუშვებელი და დასჯადია ინფორმაციის გადაცემის ტრადიციულ მედიუმებში, ინტერნეტ სივრცეშიც დაუშვებელი და დასჯადი უნდა იყოს.[1]

საერთაშორისო სტანდარტების კვლევა აჩვენებს, რომ ევროპის ქვეყნებში ინტერნეტურთიერთობების რეგულირების კუთხით ერთიანი მიდგომა არ არსებობს. კერძოდ, ქვეყნების უმრავლესობაში ინტერნეტ ურთიერთობების მარეგულირებელი სპეციალური კანონები არ არსებობს და გამოიყენება სხვა სფეროებში მოქმედი ზოგადი წესები. თუმცა, არიან სახელმწიფოები, სადაც ინტერნეტ ურთიერთობებზე სპეციალური კანონებია მიღებული. შეიძლება გამოვყოთ მესამე ტიპის ქვეყნებიც, სადაც შეზღუდვები კერძო სექტორის თვითრეგულირებაზე არის დაფუძნებული.[2]

საქართველოში, ინტერნეტში ინფორმაციის დაბლოკვის, ფილტრაციის და წაშლის შესახებ სპეციალური კანონი არ არის მიღებული; ამის მაგივრად გამოიყენება სხვა ზოგადი საკანონმდებლო აქტები. ესენია:სისხლის სამართლის კოდექსი, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი და საავტორო უფლებების შესახებ კანონი.

ამავდროულად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი - „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" დადგენილება (შემდგომში დადგენილება), რომელშიც განსაზღვრულია „დაუშვებელი პროდუქციის ცნება". აღსანიშნავია, რომ ამ დადგენილების რეგულირების სფეროს წარმოადგენს უშუალოდ მომხმარებელთა უფლებების დაცვა და იგი ვერ გავრცელდება, მაგალითად, სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებაში ჩართული ორგანოების საქმიანობაზე.

[1] OSCE, Freedom of Expression on the Internet, A study of legal provisions and practices related to freedom of expression, the free flow of information and media pluralism on the Internet. 2012 p.50
[2] Comparative study on blocking filtering and take-down of illegal content (Part 2 Comparative Considerations) Swiss Institute of Comparative Law Lausanne, 20 December 2015 p.774-775

საქართველო Freedom House-ს ინტერნეტის თავისუფლების რეიტინგით 2012 წლიდან თავისუფალ ქვეყანად ითვლება, სადაც „ონლაინ ცენზურა იშვიათია“ და „ონლაინ კონტენტი სისტემატურ მანიპულაციას არ განიცდის“. მიუხედავად ამისა, 2016 წელს YouTube-ისა და Wordpress-ის დროებითი დაიბლოკვის ფაქტებმა აჩვენა, თუ რამდენად მყიფეა ქვეყნის ეს მიღწევა.[3] დაბლოკვის ამ ფაქტებით გამოჩნდა მსგავს შემთხვევებში ძალოვანი უწყებების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მექანიზმების ნაკლებობა. მედიას და საზოგადოებას დღემდე არ მიეწოდა ოფიციალური ინფორმაცია, თუ რის საფუძველზე და რა გზით შეიზღუდა ხელმისაწვდომობა კონკრეტულ საერთაშორისო პლატფორმებზე. გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომელიც სატელეკომუნიკაციო სფეროს მთავარი მარეგულირებელი ორგანოა ქვეყანაში, არ იყო წინასწარ ინფორმირებული ამ ქმედებების შესახებ. ამგვარი გარემოებები კიდევ ერთხელ აჩვენებს, თუ რამდენად მყიფეა ინტერნეტ თავისუფლების უზრუნველყოფის სამართლებრივი გარანტიები საქართველოში.

მაგალითად, კომუნიკაციების კომისიის დადგენილება „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ” ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის არაერთ საფუძველს, შესაბამისად, მისი პრაქტიკაში გაუმართლებლად და გადაჭარბებულად გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტებს სერიოზული საფრთხე შეექმნას. მსგავსი რისკების შესამცირებლად საჭიროა, ქვეყნის კანონმდელობა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს და პასუხობდეს არსებულ გამოწვევებს.

კვლევის მიზანია „დაუშვებელი პროდუქციის” ცნების განხილვა და იმის გარკვევა, თუ რამდენად პასუხობს მისი თითოეული საფუძველი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ და საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს. დოკუმენტში შემოთავაზებული იქნება საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რათა აღმოიფხვრას ის ხარვეზები, რაც დღეს მოქმედ კანონმდებლობაში არსებობს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, იმისათვის, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულად ჩაითვალოს, შეზღუდვა განსაზღვრული უნდა იყოს კანონით, უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და უნდა იყოს ამ მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება.

შეზღუდვის კანონით განსაზღვრულობის მოთხოვნა თავის თავში მოიცავს კანონის განჭვრეტადობის კრიტერიუმს, რომლის თანახმადაც, კანონი ფორმულირებული უნდა იყოს იმდაგვარად, რომ ადამიანებმა შეძლონ განსაზღვრონ საკუთარი ქმედებების შედეგები.[4] იმ შემთხვევაში, თუ ეს კრიტერიუმი სათანადოდ არ არის დაცული, სასამართლო ადგენს, რომ გამოხატვის თავისუფლება ავტომატურად დარღვეულია, თუნდაც არსებობდეს მისი შეზღუდვის ლეგიტიმური ინტერესი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, იმ შემთხვევაში, როცა გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი ნორმები ვერ პასუხობენ განჭვრეტადობის მოთხოვნებს, მათ გააჩნიათ ე.წ. „მსუსხავი ეფექტი”, რაც ნიშნავს იმას, რომ ამგვარ ნორმებს რეალურად აქვთ უფლების შეზღუდვის იმაზე გაცილებით ფართო ეფექტი, ვიდრე ეს უშუალოდ ნორმითაა გათვალისწინებული. ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ განუჭვრეტადი ნორმის გამო ადამიანებმა ზუსტად არ იციან, რა შემთხვევაში დაარღვევენ კანონის მოთხოვნებს, შესაბამისად, ისეთი ქმედებებისგანაც შეიძლება იკავებდნენ თავს, რომლის შეზღუდვის მიზანი კანონმდებელს არ ჰქონდა.[5]

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კანონმდებლობით დადგენილი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის თითოეული საფუძველი ამ კონტექსტში იქნას განხილული და განისაზღვროს, რამდენად თავსებადია მათი ფორმულირებები ადამიანის უფლებების ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან.

---

[3] Freedom House; Freedom on the Net 2016 - Georgia
[4] ECtHR, Cengiz and Others v. Turkey 01/12/2015 para. 59-67
[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუღუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 14 მაისი, 2013 პარა. 26

1. დაუშვებელი პროდუქციის ცნება და სხვადასხვა პირთა ვალდებულებები, აღკვეთონ დაუშვებელი პროდუქციის გავრცელება

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" დადგენილების თანახმად, დაუშვებელი პროდუქცია არის ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემული პორნოგრაფია, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი, უზუსტო, საავტორო უფლებებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა პროდუქცია.[6]

ამავე დადგენილება ასევე განსაზღვრავს „დაუშვებელ პროდუქციასთან" დაკავშირებით სხვადასხვა პირების ვალდებულებას. კერძოდ, დადგენილების თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი[7] ვალდებულია შეიმუშაოს ისეთ მექანიზმები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს, გააუქმოს ან განაკავშიროს მომხმარებელი, თუ გამოვლინდა ან ცნობილი გახდა, რომ ის აწარმოებს დაუშვებელი პროდუქციის გავრცელება/გადამისამართებას.

დადგენილება ასევე ითვალისწინებს ინტერნეტდომეინის გამცემის ვალდებულებას, პერიოდულად შეამოწმოს მის მიერ რეგისტრირებულ ინტერნეტგვერდების შინაარსი იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს ინტერნეტგვერდზე დაუშვებელი პროდუქციის განთავსება. იმ შემთხვევაში კი, თუ ასეთი პროდუქცია განთავსდება, დომენის გამცემმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები მათ აღმოსაფხვრელად.[8] ეს ვალდებულება ასევე გააჩნია ინტერნეტგვერდის მფლობელს.

პროგრამის ამოქმედებისას ბუნებრივი მატების უარყოფითი მაჩვენებლები წინა სამი ამგვარი ზოგადი ვალდებულებების დაწესება გაუმართლებელ ტვირთს აკისრებს კერძო კომპანიებს. კერძოდ, ინტერნეტდომეინებზე განთავსებული პროდუქციის შემოწმება და მათი ობიექტურად შეფასება, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია, ინფორმაციის მოცულობიდან გამომდინარე. თუმცა, ცხადია, ეს არ გამორიცხავს ამ კერძო კომპანიების შესაძლებლობას, იქონიონ რეაგირება მათ მიმართ წარდგენილ კონკრეტულ საჩივრებზე.

მსგავსად არის გადაწყვეტილი საკითხი ევროკავშირის სამართალის მიხედვით. კერძოდ, სერვის პროვაიდერებს წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა დაუწესონ ინტერნეტ პროდუქციის ზოგადი მონიტორინგის ვალდებულება. თუმცა, მათ შეიძლება გაითვალისწინონ ე.წ. შეტყობინების და წაშლის პროცედურა (notice and takedown).[9]

გარდა კერძო კომპანიების ვალდებულებებისა, დადგენილება განსაზღვრავს, რომ დაუშვებელი პროდუქციის შემთხვევაში, მომხმარებელს უფლება აქვს საჩივარი წარადგინოს მომსახურების მიმწოდებლის მომხმარებელთა საჩივრების განმხილველ სამსახურში, კომისიის მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში ან სასამართლოში.

ეს დადგენილება, როგორც შეზღუდვის საფუძვლებით, ასევე შეზღუდვის ფორმებით, ეხება მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, რომლებიც მოხმარებლის უფლებებზე ახდენს ზეგავლენას, შესაბამისად, იგი პირდაპირ არ არეგულირებს სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, როცა ინფორმაციის წაშლას არა კერძო პირი, არამედ სახელმწიფო ორგანოები ითხოვენ.

აღსანიშნავია, რომ რეგულირებით განსაზღვრული „დაუშვებელი პროდუქციის" ზოგიერთი საფუძველი ბუნდოვანია და ფართო მიხედულებას ტოვებს განმარტებებისთვის.

---

[6] "ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება №3 2006 წლის 17 მარტი

[7] "ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი ან მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან ან რესურსებთან დაშვებული ავტორიზებული პირი, რომელსაც განზრახული აქვს ან ახორციელებს ქსელის ამ ელემენტებით ან რესურსებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება №3 2006 წლის 17 მარტი მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტი

[8] 10[3] მუხლი

[9] Study on the Liability of Internet Intermediaries, Markt/2006/09/E (Service Contract ETD/2006/IM/E2/69), November 2007

მითუმეტეს იმ პირობებში, როცა მთელ რიგ საფუძვლებთან დაკავშირებით მარეგულირებელ კომისიას ჩამოყალიბებული პრაქტიკა არ აქვს.[10] შესაბამისად, არსებობს საფრთხე, გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდოს იმაზე მეტად, ვიდრე ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია თითოეული საფუძველი განხილულ იქნეს ცალ-ცალკე და დადგინდეს, რამდენად შეესაბამება მათი ფორმულირება და შინაარსი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სტანდარტებს.

2. 1. პორნოგრაფიული პროდუქცია

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში ფართო კონსესუსი არსებობს ინტერნეტში ბავშვთა პორნოგრაფიის შეზღუდვასთან დაკავშირებით. მის წინააღმდეგ საბრძოლველად მიღებულია არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი, როგორც ევროკავშირის, ასევე ევროპის საბჭოს ფარგლებში.[11] ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს პრაქტიკითაც, არასრულწლოვანთა პორნოგრაფია არ წარმოადგენს ამერიკის კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცულ გამოხატვის თავისუფლების შემადგენელ ნაწილს.[12] განსხვავებით არასრულწლოვანთა პორნოგრაფიისგან, სრულწლოვანი პირების მონაწილეობით შექმნილი პორნოგრაფიული პროდუქცია სრულად არ არის ამოვარდნილი გამოხატვის თავისუფლების დაცვის სფეროდან.

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია ე.წ. უხამსობის ტესტი, რა შემთხვევაშიც გამართლებულია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. სასამართლოს განმარტებით, იმისთვის, რომ კონკრეტული მასალა ჩაითვალოს უხამსობად, აუცილებელია კრებითად დადგინდეს შემდეგი პირობების არსებობა:

a) თანამედროვე საზოგადოებრივი სტანდარტების მისადაგების შედეგად, მიიჩნევს თუ არა „საშუალო ადამიანი“ მოცემულ მასალებს, როგორც სექსისადმი არაჯანსაღი ინტერესის აღმძვრელს;
b) ასახავს თუ არა მოცემული მასალები სქესობრივ მოქმედებებს აშკარად შეურაცხმყოფელი ფორმით;
c) მოკლებულია თუ არა მოცემული მასალები სერიოზულ ლიტერატურულ, მხატვრულ, პოლიტიკურ ან მეცნიერულ ფასეულობებს.[13]

ყველა სახის პორნოგრაფიული მასალა არ აკმაყოფილებს ამ პირობებს და, შესაბამისად, მათი ავტომატური შეზღუდვა არ შეესაბამება გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ სტანდარტებს. ეს, ცხადია, არ გამორიცხავს ამგვარი პროდუქციის ასაკობრივი რეგულირების საჭიროებას და არასრულწლოვნებისთვის მათი ხელმისაწვდომობის შეზღუდვას.

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული ეს სტანდარტები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გამოხატვის თავისუფლების შესახებ ქართული კანონმდებლობა სწორედ ამერიკის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას ეყრდნობა. სწორედ ამის გამოა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” საქართველოს კანონით აკრძალულია არა მთლიანად პორნოგრაფიული მასალის, არამედ უხამსობის გავრცელება.[14] უხამსობა კი განმარტებულია, როგორც განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაშსაყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს.[15]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ დადგენილებაში დაკონკრეტდეს პორნოგრაფიის ცნება და მან მოიცვას

[10] ჩვენ მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციით დგინდება, რომ “დაუშვებელი პროდუქციის” ცნებაზე კომისიას სულ 6 გადაწყვეტილება აქვს მიღებული, აქედან ხუთი მათგანი შეეხებოდა საავტორო უფლებების დარღვევის საკითხს, ხოლო ერთი მათგანი ინტერნეტში გავრცელებული მასალისთვის ასაკობრივი ნიშნის დადების საკითხს.
[11] Council Framework Decision 2004/68/JHA of 22 December 2003 on combating the sexual exploitation of children and child pornography; Council of Europe Convention on the Protection of Children against Sexual Exploitation and Sexual Abuse, CETS No.: 201
[12] SCOTUS New York v. Ferber, 458 U.S. 747 (1982)
[13] SCOTUS Miller v. California, 413 U.S. 15 (1973)
[14] საქართველოს კანონი “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” საქართველოს პარლამენტი,24/06/2004 მე-9 მუხლის, პირველი პუნქტის “ბ” პუნქტი
[15] იქვე. პირველი მუხლის “ვ” ქვეპუნქტი.

არასრულწლოვანთა პორნოგრაფია და სხვა ისეთი პროდუქცია, რომელიც შეიცავს უხამსობას. თუმცა, იგი ავტომატურად არ უნდა გავრცელდეს ყველა სახის პორნოგრაფიულ ნაწარმოებზე, რომელშიც სრულწლოვანი პირები მონაწილეობენ.

2. 2. სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი პროდუქცია

კომისიის დადგენილების თანახმად, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი ინფორმაცია ასევე წარმოადგენს დაუშვებელ პროდუქციას, თუმცა ამ ცნების შინაარსი სრულყოფილად განჭვრეტადი არ არის. კერძოდ, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, მოაზრებულია თუ არა ამ ცნებაში სიძულვილის ენა.

აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელმა კომისიამ 2017 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით, არ მიიჩნია სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველ პროდუქციად ინტერნეტ სივრცეში განთავსებული ვიდეო რგოლი სახელწოდებით „სანტას თოვლის ბაბუამ წაასწრო!". ვიდეო რგოლში თოვლის პაპა კლავს სანტა კლაუსს, გარდაცვლილის გვამი მოთავსებულია აბაზანაში და თოვლის პაპა ზედ ასხამს მჟავას იმ მიზნით, რომ გაანადგუროს გვამი და დამალოს დანაშაულის კვალი.[16] [16] მიუხედავად იმისა, რომ საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ამ გადაწყვეტილებაში არ არის განმარტებული ამ ცნების მნიშვნელობა. ასევე არ არის სათანადოდ დასაბუთებული, თუ რატომ არ წარმოადგენს აღნიშნული კლიპი ამგვარ პროდუქციას.

სიძულვილის ენასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ამ ცნების საყოველთაოდ აღიარებული განმარტება. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული რეკომენდაციის თანახმად, სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით.[17]
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფოებს შეუძლიათ შეზღუდონ სიძულვილის ენა. სასამართლო განმარტავს, რომ სიძულვილის ენა ყოველთვის არ შეიცავს ძალადობისკენ მოწოდებას და არ ქმნის ძალადობის მყისიერ საფრთხეს, თუმცა სიძულვილის ენის გამოყენება თავისთავად შეიძლება გახდეს შეზღუდვის საფუძველი.[18]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისგან განსხვავებით, აშშ-ის უზენაესი სასამართლო არ მიიჩნევს დასაშვებად სიძულვილის ენის გამოყენების გამო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას. სასამართლო განმარტავს, რომ შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ როცა, სახეზეა „ძალადობის მყისიერი საფრთხე", რაც მოიცავს: 1) პირის განზრახვას, თავისი მოწოდებებით გამოიწვიოს ძალადობა; 2) ძალადობის მყისიერი და რეალური საფრთხის არსებობას.[19]

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონით არ არის გათვალისწინებული სიძულვილის ენა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლად. კანონით გაზიარებულია აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და დადგენილია მხოლოდ მყისიერი ძალადობის წარმომშობი მოწოდება. კერძოდ, მოწოდება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას

[16] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის", მოქალაქეების ა.არგანაშვილისა და ნ. გოჩიაშვილის საჩივრის განხილვის თაობაზე.
[17] Recommendation No. R (97) 20 of the Committee of Ministers to member states on "hate speech" adopted on 30 October 1997
[18] ECtHR, Vejdeland v. Sweden, 9 February 2012, para. 50-60; Féret c. Belgique 16 juillet 2009
[19] SCOTUS, Brandenburg v. Ohio, 395 U.S. 444 (1969)
[20] საქართველოს კანონი "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს პარლამენტი, 24/06/2004 მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

მხოლოდ მაშინ, როცა პირი ჩაიდენს განზრახ ქმედებას, რომელიც ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.[20] ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ზოგადად, სახელმწიფოს არ შეუძლია, შეზღუდოს ინფორმაციის თავისუფლება იმ საფუძვლით, რომ გარკვეული ინფორმაცია ან იდეები შეიძლება ემოციურად გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს ან მიუღებელი საქციელის წამახალისებელი იყოს.“[21] სასამართლო ასევე განმარტავს, რომ თავისთავად უკანონო ქმედებებისკენ მოწოდების ფაქტი არ შეიძლება იყოს საკმარისი იმისთვის, რომ დადგეს პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ საჭიროა არსებობდეს ძალადობის და/ან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი, ან ასეთი ქმედების განხორციელების რეალური საფრთხე. მოწოდებამ მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოიწვიოს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა, როცა იგი ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.[22]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ბევრი ევროპული სახელმწიფოსგან განსხვავებით, საქართველოში სიძულვილის ენა თავისთავად არ წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამამართლებელ საფუძველს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ეს საკითხი უფრო მკაფიოდ იქნეს ასახული დადგენილებაში. ასევე, შესაძლებელია განისაზღვროს ძალადობის მყისიერი საფრთხის სტანდარტის საფუძველზე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობა.

2.3. ცილისმწამებლური პროდუქცია

დაუშვებელი პროდუქციის კიდევ ერთ სახეა ცილისმწამებლური პროდუქცია. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” საქართველოს კანონი ასევე ითვალისწინებს ცილისწამებას გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ საფუძვლად.

2004 წლიდან, საქართველოში ცილისწამება სისხლის სამართლის დანაშაული აღარ არის და მის გამო პირს მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს.

ცილისწამებასთან დაკავშირებითაც ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. კერძოდ, საჯარო პირის ცილისწამებისთვის შესაძლებელია დადგეს პირის პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა.[23]

სწორედ ეს სტანდარტია ასახული „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლში, რომლითაც განსაზღვრულია საჯარო პირის ცილისწამების საკითხი. შესაბამისად, იმისთვის, რომ მოსარჩელე საჯარო პირმა მოიგოს ცილისწამების შესახებ დავა, მან უნდა დაამტკიცოს რომ:

1) გავრცელებული ინფორმაცია არსებითად მცდარია;

2) მცდარი ინფორმაციის საფუძველზე მას მიადგა ზიანი;

3) ინფორმაციის გავრცელებისას მოპასუხემ წინასწარვე იცოდა ინფორმაციის მცდარობა ან გამოიჩინა აშკარა გაუფრთხილებლობა (malicious intent).

კერძო პირის ცილისწამების შემთხვევაში, მე-3 კომპონენტის დადგენა არ არის სავალდებულო.[24]

---

[21] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 2009 წელი 10 ნოემბერი, II.პ.7;
[22] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიძიგური და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 2011 წლის 18 აპრილი, II.პ.104
[23] SCOTUS, New York Times Co. v. Sullivan, 376 U.S. 254 (1964)
[24] საქართველოს კანონი “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” საქართველოს პარლამენტი, 24/06/2004 მე-14 მუხლი.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ცილისწამების დადგენა საკმაოდ კომპლექსური საკითხია, რომლის დროსაც სხვადასხვა გარემოებები უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, დადგენილების თანახმად, არიან თუ არა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კერძო პირები უფლებამოსილი და კომპეტენტური, სასამართლო გადაწყვეტილების არ არსებობის პირობებში, თვითონ განსაზღვრონ კონკრეტული ინფორმაციის ცილისმწამებლური ხასიათი და, შესაბამისად, დაადგინო შეზღუდვები.

მნიშვნელოვანია, რომ ამ საფუძვლით პრაქტიკაში არ მოხდეს გამოხატვის თავისუფლების მომეტებული შეზღუდვა. აქედან გამომდინარე, საჭიროა, დაკონკრეტდეს, რომ ცილისმწამებლური პროდუქცია შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდება.

2.4. შეურაცხმყოფელი და უზუსტო პროდუქცია

დადგენილება დაუშვებელ პროდუქციად ასევე მიიჩნევს შეურაცხმყოფელ და უზუსტო პროდუქციას. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საფუძვლები არის ზედმეტად ფართო და ბუნდოვანი. შესაბამისად, ისინი ვერ პასუხობენ კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნებს. ამავდროულად, ამგვარი ბუნდოვანი საფუძვლები პრაქტიკაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ხელშესახებ საფრთხეს შეიცავს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ისევე როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თავიანთ გადაწყვეტილებებში აღნიშნავენ, რომ გამოხატვის თავისუფლების დაცვის სფერო მოიცავს არა მხოლოდ იმ „ინფორმაციას“ ან „იდეებს“, რომლებსაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი გულგრილი დამოკიდებულებაა, არამედ ასევე ისეთს, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.[25]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ, ზოგადად, სახელმწიფოს არ შეუძლია, შეზღუდოს ინფორმაციის თავისუფლება იმ საფუძვლით, რომ გარკვეული ინფორმაცია ან იდეები შეიძლება ემოციურად გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს ან მიუღებელი საქციელის წამახალისებელი იყოს. ადამიანებს უფლება აქვთ, მიიღონ და გაავრცელონ იდეები და თავად გადაწყვიტონ, რა არის მათთვის მისაღები ან მიუღებელი. [26]

ამის გათვალისწინებით, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სტანდარტებით, დაუშვებელია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ იმ მიზნით, რომ შეურაცხმყოფელი პროდუქცია არ იქნეს გავრცელებული ინტერნეტში. დადგენილებაში მითითებულია სხვა, უფრო კონკრეტული საფუძვლები, რომლის დროსაც გამოხატვის თავისუფლება შესაძლებელია შეიზღუდოს პირის რეპუტაციის დაცვის მოტივით (მაგალითად ცილისწამება). თუმცა, თავისთავად ისეთი ზოგადი და ბუნდოვანი ცნებები, როგორიცაა „შეურაცხმყოფელი” და „უზუსტო” პროდუქცია, არ უნდა გახდეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი.

ამასთან, საერთაშორისო სტანდარტების კვლევა აჩვენებს, რომ ევროპის საბჭოს ქვეყნებში ამგვარი ზოგადი საფუძვლებით ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა არ ხდება.[27]

2.5. უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი პროდუქცია

ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფცია აღიარებულია, როგორც საქართველოს

[25] ECtHR, Handyside v United Kingdom (5493/72) 1976, Para. 49; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიძიგური და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 2011 წლის 18 აპრილი II.პ.106;
[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 2009 წელი 10 ნოემბერი, II.პ.7;
[27] Comparative study on blocking filtering and take-down of illegal content (Part 2 Comparative Considerations) Swiss Institute of Comparative Law Lausanne, 20 December 2015

კონსტიტუციით [28], ასევე ადამიანის უფლებების სფეროში მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებებით [29]. უდანაშაულობის პრეზუმფცია სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელოვანი ელემენტია. იგი გულისხმობს, რომ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, უდანაშაულობის პრეზუმფცია კრძალავს მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით მოსამართლის ან სხვა თანამდებობის პირების მხრიდან ბრალდებული პირის დამნაშავეობაზე მითითებას სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე. უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევს თანამდებობის პირების იმგვარი განცხადებები, რომელიც უბიძგებს საზოგადოებას, დაიჯეროს ბრალდებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენა, ასევე, რომელმაც შეიძლება შემდგომში ხელი შეუშალოს სასამართლოს, რომ ობიექტურად შეაფასოს საქმის გარემოებები.[30] აქედან გამომდინარე, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა შეუძლია მხოლოდ საქმის განმხილველ მოსამართლეს და მაღალი თანამდებობის პირებს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაირღვა თუ არა პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია, სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, დადგენილების თანახმად, არიან თუ არა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კერძო პირები უფლებამოსილი და კომპეტენტური, სასამართლო გადაწყვეტილების არ არსებობის პირობებში, თვითონ განსაზღვრონ კონკრეტული

ინფორმაციის არის თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი და ამ მოტივით შეზღუდონ ინფორმაცია ინტერნეტში. თავისთავად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ, თუ სასამართლოს მიერ არ არის დადგენილი უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ფაქტი, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კერძო პირებისთვის მნიშვნელოვან სირთულეებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ამ ცნების სწორი განმარტება, რადგან იგი მოითხოვს სპეციალურ კომპეტენციას. შესაბამისად, პრაქტიკაში გამოხატვის თავისუფლების ამ საფუძვლით მომეტებულად შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი პროდუქცია შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დარღვევა კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდება.

2.6. პირადი ცხოვრების შემლახველი პროდუქცია

პირად ცხოვრებას მიკუთვნებული სფეროები განსხვავებულად არის განსაზღვრული და რეგულირებული ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში. ზოგადად, ის მოიცავს რეპუტაციის, პერსონალური მონაცემების და სხვაგვარი პერსონალური საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის დაცვას. წევრ სახელმწიფოებში ასევე განსხვავებულია ამ უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები.[31]

კომისის დადგენილება ცალკე საფუძვლად გამოყოფს რეპუტაციის დაცვის ინტერესს, შესაბამისად, პირადი ცხოვრების დაცვის ამ ზოგად საფუძველში უნდა მოვიაზროთ პირად ცხოვრებას მიკუთვნებული სხვა ტიპის ინფორმაცია.

პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ინტერესი, ხშირ შემთხვევაში, უპირისპირდება სხვა პირის გამოხატვის თავისუფლების ინტერესს. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთხელ მოუწია ამ დაპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსი დაედგინა. კონვენციით დაცული ეს უფლებები ქმნიან ერთიან სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი სიკეთის დაცვას. სწორედ ამიტომ, დაუშვებელია რომელიმე ერთი უფლების

[28] საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი 24/08/1995 მე-40 მუხლის პირველი პუნქტი
[29] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათან დაცვის კონვეცია, 1950 წლის 4 ნოემბერი მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი
[30] ECtHR, Allenet de Ribemont v. France, 10 February 1999
[31] Comparative study on blocking filtering and take-down of illegal content (Part 2 Comparative Considerations) Swiss Institute of Comparative Law Lausanne, 20 December 2015 p.779

მომეტებული, ავტომატური შეზღუდვა გამართლებული იყოს სხვა კონვენციური უფლების დაცვის სახელით. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს დაპირისპირებული ინტერესების არსს და ადგენს სამართლიან ბალანსს უფლებებს შორის.

შესაბამისად, აუცილებელია, დადგენილებით განსაზღვრული იყოს „საჯარო ინტერესის ტესტი", რაც გულისხმობს პირად ცხოვრებას მიკუთვნებული ინფორმაციის გავრცელების დასაშვებობას, როცა ამის დამძლევი საჯარო ინტერესი არსებობს.

გამოხატვის თავისუფლება განსაკუთრებული მაღალი ხარისხით არის დაცული ის სფეროები, რომლებიც დაკავშირებულია საჯარო ინტერესის მქონე თემებთან და პოლიტიკურ გამოხატვასთან.

ასეთ შემთხვევებში, სახელმწიფოების მიხედულების ზღვარი განსაკუთრებულად შებოჭილია და შეზღუდვა ექვემდებარება მკაცრ შემოწმებას სასამართლოების მიერ.[32]

აქედან გამომდინარე, პირად ცხოვრებას მიკუთვნებული ინფორმაციის გავრცელება ყველა შემთხვევაში თავისთავად ვერ გახდება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მნიშვნელოვანია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასდეს ის ინტერესი, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს პირადი ცხოვრების დაცვის მოტივით.

2.7. საავტორო უფლებების დამრღვევი პროდუქცია

ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში არსებობს ფართო კონსესუსი საავტორო უფლებების დარღვევის საფუძვლით ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით. საავტორო უფლებები დაცულია არაერთი საერთაშორისო შეთანხმებით, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს მიერაც არის რატიფიცირებული[33].
ამ ხელშეკრულებებით სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, დაიცვან საავტორო და მომიჯნავე უფლებები და ამის უზრუნველსაყოფად გაატარონ აუცილებელი ღონისძიებები. თუმცა, პროცედურები და უფლების დაცვის მექანიზმები სხვადსხვა სახელმწიფოში განსხვავებულია.[34] რიგ სახელმწიფოებში, საავტორო უფლებების დაცვის მოტივით ინტერნეტში ინფორმაციის წაშლა და ბლოკირება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, თუმცა ასევე არსებობს განსხვავებული მიდგომები, რომლის თანახმადაც, ამგვარი შეზღუდვის დაწესება სპეციალურ ადმინისტრაციულ ორგანოებს და ინტერნეტ პროვაიდერებს შეუძლიათ.[35]

ასევე განსხვავებული მიდგომებია ინტერნეტში საავტორო უფლებების დარღვევის პრევენციისთვის. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი მექანიზმი არის ე.წ. „სამი გაფრთხილების" პრინციპი, რომლის თანახმად, მომხმარებელს გაეთიშება ინტერნეტზე წვდომა, თუ სამჯერ დაარღვევს საავტორო უფლებებს და არალიცენზირებული გზით გადმოიწერს საავტორო უფლებებით დაცულ მასალას. თუმცა, ეს მექანიზმი ხშირად ხდება კრიტიკის საგანი იმ აქტორების მხრიდან, ვინც ინტერნეტზე წვდომას ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად მიიჩნევს.[36] ასევე, საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ამგვარი მექანიზმი, კანონმდებლობაში შესაბამისი პროცედურული გარანტიების არ არსებობის გამო.[37]

საქართველოს კანონმდებლობით საავტორო უფლებები აღიარებული და დაცულია.

---

[32] ECtHR, Roland Dumas v. France § 43, 15 July 2010
[33] „ლიტერატურისა და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ" ბერნის კონვენცია (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 24 ნოემბრის №609 დადგენილებით), ,,საავტორო უფლებების შესახებ" 1996 წლის 20 დეკემბერის ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულება (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 23 მაისის №879 დადგენილებით) ,,შემსრულებლების, ფონოგრამების, დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ" რომის 1961 წლის კონვენცია (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 17 თებერვლის №3344 დადგენილებით)
[34] Comparative study on blocking filtering and take-down of illegal content (Part 2 Comparative Considerations) Swiss Institute of Comparative Law Lausanne, 20 December 2015 p.778
[35] Ibid. p.780
[36] OSCE, Freedom of Expression on the Internet, A study of legal provisions and practices related to freedom of expression, the free flow of information and media pluralism on the Internet. 2012 p.153
[37] Forbes, "France Scraps 'Three Strikes' Anti-Piracy Measure" JUL 10, 2013

შესაბამისად, მისი დაცვის მოტივით ასევე გამართლებულია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მათ შორის ინტერნეტში. თუმცა, ამის პარალელურად, მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ინფორმაციის შეზღუდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შეტყობინების ვალდებულება და, დავის შემთხვევაში, პირს ჰქონდეს სასამართლოს წესით უფლების დაცვის ეფექტური შესაძლებლობა.

3. საკანონმდებლო წინადადება

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებით განსაზღვრული „დაუშვებელი პროდუქციის ცნების“ კომპონენტები ვერ პასუხობს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს. შესაბამისად, აუცილებელია, ეს პრობლემები საკანონმდებლო ცვლილებების გზით აღმოიფხვრას, რათა პრაქტიკაში თავიდან იქნეს აცილებული გამოხატვის თავისუფლების მომეტებული შეზღუდვა.

სწორედ ამ მიზნით, ჩვენი ორგანიზაცია წარმოადგენს დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტს, რომლის მიზანიც აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება და კანონმდებლობის დონეზე გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტების ამაღლება იქნება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებაში „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ ცვლილებების შეტანის პროექტი

მუხლი 1

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N 3 დადგენილებაში „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ჰ)[2] ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ჰ)[2] დაუშვებელი პროდუქცია – ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემული არასრულწლოვანთა პორნოგრაფია ან სხვაგვარი უხამსობა, ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი და საავტორო უფლებების დამრღვევი პროდუქცია. ასევე, კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმწამებლური, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა პროდუქცია.

დადგენილების 10[2] მუხლის გ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ ინტერნეტგვერდზე განთავსებული ბმულის სახით მითითებული გვერდი შეიცავს დაუშვებელ პროდუქციას, იღებს შესაბამის ზომებს მათ აღმოსაფხვრელად.

დადგენილების 10[3] მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

დადგენილების 29-ე მუხლს დაემატოს მე-3 და მე-4 პუნქტი

3. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ შეატყობინოს დაინტერესებულ პირებს და განუმარტოს გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურა და წესი.
4. დაუშვებელი პროდუქციის საფუძვლით ინფორმაციის დაბლოკვის ან წაშლის შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, მიღებული გადაწყვეტილება სამი დღის ვადაში გამოაქვეყნოს საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 2
ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დადგენილების იმ ნორმების მოქმედი რედაქცია, რომლებშიც შედის ცვლილება

მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ჰ)[2] ქვეპუნქტი

დაუშვებელი პროდუქცია – ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემული პორნოგრაფია, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი, უზუსტო, საავტორო უფლებებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა პროდუქცია;

დადგენილების 10[2] მუხლის გ პუნქტი

ინტერნეტგვერდზე განთავსებულ ბმულს ამოწმებს იმ მიზნით, რომ ბმულის სახით მითითებული გვერდი არ შეიცავდეს შეურაცხმყოფელ ან სხვა დაუშვებელ პროდუქციას. ასეთის არსებობის შემთხვევაში იღებს შესაბამის ზომებს მათ აღმოსაფხვრელად.

დადგენილების 10[3] მუხლის მე-2 პუნქტი

2. ინტერნეტდომენის გამცემი პერიოდულად ამოწმებს მის მიერ რეგისტრირებულ ინტერნეტგვერდების შინაარს იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს ინტერნეტგვერდზე დაუშვებელი პროდუქციის განთავსება. ასეთის შემთხვევაში, დომენის გამცემმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები მათ აღმოსაფხვრელად:

ა) გააფრთხილოს დომენის მფლობელი და განუსაზღვროს ვადა დაუშვებელი პროდუქციის ამოღებისათვის;
ბ) გაფრთხილების უგულვებელყოფის შემთხვევაში მოახდინოს ინტერნეტგვერდის დაბლოკვა.

საკონტაქტო ინფორმაცია

ა. გრიბოედოვის ქუჩა 3,
0108, თბილისი, საქართველო
ტელ: + 995 32 2 92 15 14
ელ-ფოსტა: info@idfi.ge
www.idfi.ge

CONTACT DETAILS

A. Griboedov Str. 3,
0108, Tbilisi, Georgia.
Phone: + 995 32 2 92 15 14
E-mail: info@idfi.ge
www.idfi.ge